

რუსთავის საქალაქო სასამართლოს  
მოსამართლეს ქალბატონ ნ. თ.-ს  
მოსარჩელის - “სსიპ ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია”  
სარჩელთან დაკავშირებით  
საქმე N 3-222-15

სასამართლო მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება

*წარმოდგენილია საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის მეორე პუნქტის,  
„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე  
მუხლის „ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-  
16 მუხლის 1-ლი ნაწილის, ასევე “დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის  
შესახებ” საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად*

ქალბატონო ,

2015 წლის 24 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველს ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის - EMC - დირექტორმა, თ. მ.-მ მომართა განცხადებით, რომლითაც ზემოთმითითებულ ადმინისტრაციულ საქმეში სასამართლოს მეგობრის სტატუსით ჩართვა სთხოვა.

წარმოდგენილი მასალებიდან იკვეთება, რომ სსიპ „ლათინ კათოლიკეთა სამხრეთ კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაციამ“ (შემდგომში: მოსარჩელე) ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის წინააღმდეგ, 2015 წლის 13 ნოემბერს ადმინისტრაციული სარჩელი შეიტანა რუსთავის საქალაქო სასამართლოში. მოსარჩელე მერიის მიერ რუსთავში კათოლიკური ეკლესიის მშენებლობისთვის მოწმობის გაცემაზე უარს ასაჩივრებს და აღნიშნავს, რომ უარი განპირობებულია რელიგიური უმცირესობის მიმართ დისკრიმინაციული მიდგომით.

როგორც წარმოდგენილი მასალებიდან იკვეთება, 2013 წლის 16 აპრილს მოსარჩელემ ქ. რუსთავის მერიას მიმართა განცხადებით, რომლითაც ქ. რუსთავში მდებარე მის საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 02.04.02.179) კათოლიკური ეკლესიის (საკულტო ნაგებობა) მშენებლობაზე ნებართვის გაცემა მოითხოვა. აღნიშნული განცხადების საფუძველზე, 2013 წლის 2 მაისს ქ. რუსთავის მერიის

ურბანული დაგეგმარებისა და ტრანსპორტის განვითარების სამსახურის მიერ გაიცა 1/1314 დასკვნა, რის საფუძველზეც ქ. რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 21 მაისის # 4992 ბრძანებით მითითებულ საპროექტო მიწის ნაკვეთზე დადგინდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები კათოლიკური ეკლესიის მშენებლობის მიზნით.

სარჩელში აღნიშნულია, რომ მოსარჩელემ არაერთხელ მიმართა რუსთავის მერიასა და საკრებულოს, მშენებლობის ნებართვის და შესაბამისი მოწმობის გაცემის მოთხოვნით, თუმცა მშენებლობის მოწმობა, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, დღემდე არ გაცემულა.

განსახილველ საქმესთან დაკავშირებით ასევე არსებობს რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება, რომლითაც დადგინდა, რომ მშენებლობის ნებართვის გამცემმა ორგანომ დაარღვია მშენებლობის ნებართვის გაცემისთვის დადგენილი ადმინისტრაციული სამართალწარმოების ვადები. აღნიშნული გადაწყვეტილებით სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ ვინაიდან ადმინისტრაციულმა ორგანომ მოსარჩელეს დადგენილ ვადაში არ აცნობა უარის შესახებ, ნებართვა გაცემულად ითვლება.

2014 წლის 9 ივლისს მოსარჩელემ კიდევ ერთხელ მიმართა ქ. რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარეს სამშენებლო სანებართვო მოწმობის გაცემის მოთხოვნით, რის საფუძველზეც, ქ. რუსთავის მერიაში ხელახლა დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება ნებართვის გაცემაზე. წარმოების ფარგლებში მოსარჩელეს კიდევ ერთხელ მოსთხოვეს სსიპ „რელიგიურ საქმეთა სააგენტოს“ რეკომენდაცია საკულტო ნაგებობის მშენებლობასთან დაკავშირებით. 2014 წლის 31 ოქტომბერს „რელიგიის საკითხთა სააგენტოს“ მიერ გაიცა დადებითი რეკომენდაცია მითითებულ საპროექტო ნაკვეთზე კათოლიკური ეკლესიის მშენებლობასთან დაკავშირებით.

სარჩელში ასევე მითითებულია, რომ მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, დაახლოებით 2014 წლის 12 დეკემბერს, ჩატარდა ზეპირი ადმინისტრაციული სხდომა, რომელსაც, სხვებთან ერთად ესწრებოდნენ მართლმადიდებლური ეკლესიის ადგილობრივი წამომადგენლების ჯგუფი და ქ. რუსთავის მერიის და საკრებულოს თანამშრომლები. მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენლები, ასევე საკრებულოს დეპუტატები სხდომაზე აღნიშნავენ, რომ არ დაუშვებდნენ რუსთავის ტერიტორიაზე კათოლიკური

ეკლესიის აშენებას. მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენლები სხდომაზე ასევე ავრცელებდნენ ბუკლეტებს, რომელიც მიზნად კათოლიკური ეკლესიის დისკრედიტაციას ისახავდა. ამასთან, საკრებულოს დეპუტატები მოსარჩელის ადვოკატის, ლ. ჩ.-ს მისამართით აცხადებდნენ, რომ ვინაიდან ის მართლმადიდებელი იყო, დაუშვებელი იყო მის მიერ კათოლიკური ეკლესიის ინტერესების დაცვა.

როგორც სარჩელშია აღნიშნული, ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შემდეგ მშენებლობის სანებართვო მოწმობა არ გაცემულა და მოსარჩელესთან დაიწყო პოლიტიკური მოლაპარაკება. მათ შორის, 2015 წლის ივლისში კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლებს შეხვდა ქვემო ქართლის გუბერნატორი, შეხვედრას ასევე ესწრებოდა ქ. რუსთავის მერი, რომელმაც კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლებს ეკლესიის ასაშენებლად მათ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ნაცვლად რუსთავის გარეუბანში არსებული ტერიტორია შესთავაზა. მოგვიანებით, მოსარჩელეს ასევე შესთავაზეს რუსთავის გარეთ მდებარე მიწის ნაკვეთი. სარჩელის თანახმად, მოლაპარაკებების მონაწილე ყველა პირი (სსიპ „რელიგიის საკითხთა სააგენტოს“ თავმჯდომარე, საქართველოს სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში) მოსარჩელეს არწმუნებდა, რომ მშენებლობის სანებართვო მოწმობის გაცემასთან დაკავშირებით დაბრკოლება არ შეექმნებოდა, თუმცა, მოწმობა დღემდე არ გაცემულა. 2015 წლის 24 დეკემბერს მოსარჩელის წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ მიმართა ქ. რუსთავის მერიას სანებართვო მოწმობის გაცემის მოთხოვნით, თუმცა პასუხი არ მიუღია.

„სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-14<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტისა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დისკრიმინაციის აღმოფხვრასა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას ახორციელებს სახალხო დამცველი. ვინაიდან, სასარჩელო მოთხოვნა არის დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა, დისკრიმინაციის საქმეებზე სასამართლოს მიერ გაკეთებულ განმარტებებს კი შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებასა და დისკრიმინაციასთან ბრძოლაში, სახალხო დამცველმა გადაწყვიტა საქმის განმხილველ სასამართლოს სასამართლოს მეგობრის მოსაზრება (Amicus Curiae) წარუდგინოს.

სასამართლოს მეგობრის მოსაზრება მიზნად არ ისახავს რომელიმე მხარის პოზიციის მხარდაჭერას და მხოლოდ იმ სტანდარტებზე მიუთითებს, რომელიც საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ მსგავს საქმეებზეა დადგენილი.

## 1. სასამართლო მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრებით მომართვის უფლებამოსილება

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით:

*„სახალხო დამცველი უფლებამოსილია გამოავლინოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტები, შეატყობინოს ამის შესახებ შესაბამის ორგანოებსა და პირებს.“*

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-14<sup>1</sup> მუხლის და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მიხედვით:

*„დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი.“*

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად:

*„საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია ცალკეულ შემთხვევებში შეასრულოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ფუნქცია საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში.“*

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის თანახმად:

*„ნებისმიერ პირს, რომელიც განსახილველ საქმეში მხარე ან მესამე პირი არ არის, აქვს უფლება, საქმის არსებით განხილვამდე არანაკლებ 5 დღით ადრე სასამართლოს წარუდგინოს საკუთარი წერილობითი მოსაზრება ამ საქმესთან დაკავშირებით.“*

## 2. რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციის საკითხი სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების ფონზე

### 2.1. ზოგადი დებულებები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი წარმოადგენს „თანასწორობის უნივერსალურ კონსტიტუციურ ნორმა-პრინციპს, რომელიც გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას [...] ეს პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს, ისე მიზანს.“<sup>1</sup>

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის შესაბამისად, ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა.

იმავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

---

<sup>1</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N 1/1/493, II, 1;

იმავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ირიბი დისკრიმინაცია არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

აღნიშნული მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც პირს ხელი ეშლება *საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობისას, არსებობს განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში მყოფი პირების მიმართ, არ არსებობს კანონით განსაზღვრული მიზანი, განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და დასახული მიზნის არათანაზომიერია.*

იგივე პრინციპი გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდანაც. ევროპული სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ საკითხი მოექცეს კონვენციის მე-14 მუხლით (დისკრიმინაციის აკრძალვა) დაცული სფეროს ქვეშ, აუცილებელია, რომ *განსხვავებული მოპყრობა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ.* განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია თუ მას *არა აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება, ე.ი. არ ისახავს კანონიერ მიზანს* და არ არსებობს *პროპორციულობის გონივრული კავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის.*<sup>2</sup>

## *2.2. კანონით გათვალისწინებული უფლება, რომლით სარგებლობისას შეიძლება ადგილი ჰქონოდა განსხვავებულ მოპყრობას*

---

<sup>2</sup> Eweida and others v. United Kingdom, app. nos: 48420/10, 59842/10, 51671/10, 36516/10, 15/01/2013, §§ 87-88; Burden v. United Kingdom, app. no: 13378/05, 29/04/2008, § 60;

მოსარჩელის მითითებით, მას სურდა ქ. რუსთავში მის საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე აეშენებინა კათოლიკური ეკლესია. მოსარჩელის შესაბამისი განცხადების საფუძველზე, ქ. რუსთავის მერიის ურბანული დაგეგმარებისა და ტრანსპორტის განვითარების სამსახურის მიერ გაიცა დადებითი დასკვნა, რის საფუძველზეც ქ. რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 21 მაისის ბრძანებით მითითებულ საპროექტო მიწის ნაკვეთზე დადგინდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები კათოლიკური ეკლესიის მშენებლობის მიზნით. ამის შემდეგ, მოსარჩელემ არაერთხელ მიმართა ქ. რუსთავის მერიას სამშენებლო ნებართვის და შესაბამისი მოწმობის გაცემის მოთხოვნით, თუმცა პასუხი არ მიუღია.

მოსარჩელე მიიჩნევს, რომ კათოლიკური ეკლესიის მშენებლობა შეუძლებელი გახდა, რადგან ქ. რუსთავის მერიამ არ გასცა მშენებლობის სანებართვო მოწმობა.

შესაბამისად, კანონით გათვალისწინებული უფლებები, რომლით სარგებლობისას შეიძლება ადგილი ჰქონოდა განსხვავებულ მოპყრობას არის რელიგიის თავისუფლება და საკუთრების უფლება.

### *რელიგიის თავისუფლება*

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის და რწმენის თავისუფლება. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ყველასთვის გარანტირებულია აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება; ეს უფლება მოიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას, აგრეთვე პირის უფლებას, როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად საჯაროდ ან განცალკევებით გამოხატოს თავისი რელიგია თუ რწმენა. იმავეს იმეორებს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-18 მუხლის პირველი პუნქტი.

როგორც ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, კონვენციის მე-9 მუხლი იცავს როგორც უფლებას გწამდეს, ასევე, რელიგიის გამოხატვის უფლებას, რომელიც სხვადასხვა ფორმით ვლინდება, მაგალითად, აღმსარებლობით, სწავლებით, წესების დაცვითა და

რიტუალების აღსრულებით.<sup>3</sup> რელიგიის გამოხატვის უფლება კი, ასევე, მოიცავს რელიგიური რიტუალებისათვის შენობა-ნაგებობის აშენების უფლებას. ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევად მიიჩნია საბერძნეთში იელოვას მოწმეებისათვის რელიგიური რიტუალებისათვის განკუთვნილი შენობის გახსნის აკრძალვა.<sup>4</sup> სასამართლომ, ასევე აღნიშნა, რომ რელიგიური ორგანიზაციების უფლება დაარსონ რელიგიური რიტუალების ჩატარების ადგილები და საჯაროდ აღასრულონ რელიგიური რიტუალები არის კონვენციის მე-9 მუხლით დაცული უფლება. სასამართლომ ასევე ხაზი გაუსვა რელიგიური ორგანიზაციების უფლებას ჩაატარონ რელიგიური ღვთისმსახურება საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომ ადგილებში, შექმნან, მიიღონ და გაავრცელონ რელიგიური ლიტერატურა, დააფუძნონ რელიგიური ინსტიტუტები და დაამყარონ კონტაქტი საერთაშორისო გაცვლით აქტივობებსა და კონფერენციებში მონაწილეობის მიზნით.<sup>5</sup>

ასევე, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-18 მუხლთან მიმართებით მიუთითებს, რომ რელიგიის გამოხატვის უფლება, მათ შორის, გულისხმობს რელიგიური რიტუალების ჩასატარებლად ადგილის აშენების უფლებას.<sup>6</sup>

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განსახილველ საქმეში სამლოცველოს აშენების უფლება მოსარჩელის რწმენისა და რელიგიის გამოხატვის უფლების შემადგენელი ნაწილია და შესაბამისად, კანონით გათვალისწინებული უფლებაა.

### *საკუთრების უფლება*

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის თანახმად, საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუვალია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.

„საკუთრების უფლება ადამიანის არა მარტო არსებობის ელემენტარული საფუძველია, არამედ უზრუნველყოფს მის თავისუფლებას, მისი უნარისა და

<sup>3</sup> Metropolitan Church of Bessarabia and Others v. Moldova, app. no: 45701/99, 27/03/2002, § 114;

<sup>4</sup> Manoussakis v. Greece, app. no: 18748/91, 26/09/1996, § 53;

<sup>5</sup> Jehovah's Witnesses of Moscow v. Russia, app. no: 302/02, 10/06/2010, § 102;

<sup>6</sup> გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის 22-ე ზოგადი კომენტარი, CCPR/C/21/Rev.1/Add.4, 27/09/1993, §4, ხელმისაწვდომია: <file:///C:/Users/kshubashvili.OMBUDSMAN/Downloads/G9318602.pdf>;



შესაძლებლობების ადეკვატურ რეალიზაციას, ცხოვრების საკუთარი პასუხისმგებლობით წარმართვას.<sup>7</sup>

„ქონების ფლობას აზრი დაეკარგება, თუკი სუბიექტის ქონებრივი უფლებები შინაარსგამოცლილი გახდება. საკუთრების შინაარსი მაშინაა გარანტირებული, როცა მესაკუთრეს შეუძლია საკუთრებაში მოაზრებული უფლებამოსილებების სრულყოფილად განხორციელება საკუთრების ობიექტის ფუნქციით დეტერმინირებული ნების მიხედვით. აქედან გამომდინარე, კანონმდებელი ვალდებულია, მესაკუთრეს მისცეს თავისი საკუთრების დანიშნულებისამებრ გამოყენების შესაძლებლობა, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს საკუთრების ობიექტებთან თავად მესაკუთრის პირად ურთიერთობას. სწორედ ეს წარმოადგენს საკუთრების, როგორც სანივთო უფლების პოზიტიური შინაარსის გამოვლინებას.“<sup>8</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის თანახმად, ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრების შეუფერხებელი **სარგებლობის უფლება**.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების თანახმად, მიწაზე მშენებლობის უფლება მოიაზრება საკუთრების უფლების ქვეშ და მშენებლობის აკრძალვა წარმოადგენს ამ უფლებით დაცულ სფეროში ჩარევას და ზღუდავს საკუთრების უფლებას.<sup>9</sup> როდესაც მიწის მესაკუთრეს არ აძლევენ მშენებლობის ნებართვას, ეს მიიჩნევა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით დაცულ სფეროში, კერძოდ, საკუთრების შეუფერხებელი სარგებლობის უფლებაში, ჩარევად.<sup>10</sup>

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკუთრებით სარგებლობის უფლება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებაა.

<sup>7</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის N 1/2/384 გადაწყვეტილება, II-5;

<sup>8</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის #1/2/411 გადაწყვეტილება, II.3.26;

<sup>9</sup> Elia srl v. Italy, §§ 8-10, 49,48, app. no: 37710/97, 02/11/2001; Sporrang and Lönnroth v. Sweden, app. nos: 7151/75, 7152/75, 23/09/1982, § 60;

<sup>10</sup> Lay Lay Company Limited v. Malta, app. no: 30633/11, 23/10/2013, § 81; Borg v. Malta (dec.), app. no: 25679/94, 18/10/1995;

### 2.3. განსხვავებული მოპყრობა და მისი ობიექტური და გონივრული გამართლება

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363<sup>3</sup> მუხლის თანახმად, პირმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც მოპასუხეს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა.

საქართველოს წინააღმდეგ განხილულ რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებულ საქმეებში, ევროპულმა სასამართლომ არ ჩათვალა საჭიროდ, მომჩივნებს ემტკიცებინათ, რომ იგივე დარღვევები სხვა ჯგუფის მიმართ არ განხორციელდებოდა. იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფომ საპასუხო არგუმენტი ვერ წარადგინა, სასამართლომ მიიჩნია, რომ განსხვავებული მოპყრობის საილუსტრაციოდ საკმარისი იყო მომჩივნების მიერ იმის დემონსტრირება, რომ სახელმწიფოს მხრიდან მათი უფლებების უგულებელყოფა რელიგიური ნიშნით მოხდა.<sup>11</sup>

წინამდებარე საქმეშიც, სასამართლომ სწორედ მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა დააკისროს მტკიცების ტვირთი. კერძოდ, მოპასუხემ უნდა ამტკიცოს, რომ ქ. რუსთავის მერიის ურბანული დაგეგმარებისა და ტრანსპორტის განვითარების სამსახურის 2013 წლის 02 მაისის N1/1314 დასკვნა და ქალაქ რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 21 მაისის N4992 ბრძანება მშენებლობის ნებართვის პირველი ეტაპით გაცემის შესახებ გამოცემულია კანონდარღვევით, არასწორი წარმოების შედეგად და რომ მოსარჩელის მიმართ ადგილი არ ჰქონია სავარაუდო დისკრიმინაციულ მოპყრობას.

ქ. რუსთავის მერია თავის შესაგებელში მიუთითებს, სანებართვო მოწმობის გაცემა შეუძლებელია, ვინაიდან პირველი ეტაპის მშენებლობის ნებართვის გაცემის საფუძველი არ არსებობდა, რადგან კათოლიკური ეკლესიის ასაშენებლად აუცილებელი იყო სპეციალური ზონალური შეთანხმების გაფორმება, რაც არქიტექტურის სამსახურში დაცული დოკუმენტაციის მიხედვით, არ ფიქსირდება. ამდენად, ადმინისტრაციულმა ორგანომ თავად უნდა ამტკიცოს, რატომ არ მოსთხოვა სპეციალური ზონალური შეთანხმების გაფორმება, ან ხარვეზი არ

---

<sup>11</sup> 97 Members of Gldani Congregation of Jehovah's Witnesses and Others v Georgia, application no: 71156/01, 03/08/2007, §§ 140-141; Begheluri and 4 others v. Georgia, app. no: 28490/02, 07/01/2015, §§ 173-179;

დაუდგინა მოსარჩელეს 2013 წელს მიმართვის დროს, თუკი ეს ეკლესიის აშენებისთვის აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენდა.

ასევე, ეჭვს იწვევს ის გარემოება, რომ ქ. რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 21 მაისის ბრძანებით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის შემდეგ, მოსარჩელის არაერთი მიმართვის მიუხედავად, ადმინისტრაციულმა ორგანომ მას დიდი ხნის განმავლობაში არ შეატყობინა სავარაუდოდ კანონდარღვევით ჩატარებული ადმინისტრაციული სამართალწარმოების შესახებ და არ განუმარტა, რომ არ მოიპოვებოდა ზონალური შეთანხმება. აღნიშნული ხარვეზის შესახებ ადმინისტრაციულმა ორგანომ მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოს წინაშე წარდგენილი შესაგებლით განმარტა.

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ ყურადღება გაამახვილოს სარჩელში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლის თანახმად, დაახლოებით 2014 წლის 12 დეკემბერს ჩატარებულ ზეპირ ადმინისტრაციულ სხდომაზე მართლმადიდებლური ეკლესიის ადგილობრივი წარმომადგენლების ჯგუფი, ასევე ქ. რუსთავის საკრებულოს დეპუტატები აღნიშნავენ, რომ არ დაუშვებდნენ რუსთავის ტერიტორიაზე კათოლიკური ეკლესიის აშენებას. მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენლები სხდომაზე ასევე ავრცელებდნენ ბუკლეტებს, რომელიც მიზნად კათოლიკური ეკლესიის დისკრედიტაციას ისახავდა. ამასთან, საკრებულოს დეპუტატები მოსარჩელის ადვოკატის, ლ. ჩ.-ს მისამართით აცხადებდნენ, რომ ვინაიდან ის მართლმადიდებელი იყო, დაუშვებელი იყო მის მიერ კათოლიკური ეკლესიის ინტერესების დაცვა.

ასევე საგულისხმოა, რომ მოსარჩელის მითითებით, სახელმწიფოს წარმომადგენლები მასთან არაფორმალურ მოლაპარაკებას აწარმოებდნენ და სთავაზობდნენ მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ალტერნატიულ ფართს, რომელიც ქალაქისგან მოშორებით მდებარეობს. აღნიშნული ბადებს ეჭვს, რომ სახელმწიფოს წარმომადგენლები ცდილობდნენ, მოსარჩელე კათოლიკური ეკლესიის ქალაქის ცენტრისგან მოშორებით, შედარებით ფარულ ადგილას მშენებლობაზე დაეყოლიებინათ, რომ მართლმადიდებლური ეკლესიის ადგილობრივი წარმომადგენლების უკმაყოფილება თავიდან ყოფილიყო აცილებული.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, თანასწორობის იდეა ემსახურება შესაძლებლობების თანასწორობის უზრუნველყოფას, ანუ ამა თუ იმ

სფეროში ადამიანების თვითრეალიზაციისთვის ერთნაირი შესაძლებლობების გარანტირებას.<sup>12</sup> რწმენის თავისუფლებასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ უმრავლესობის ინტერესები ყოველთვის ან ძირითადად უპირატესი ვერ იქნება. დემოკრატია ეყრდნობა კერძო და საჯარო ინტერესებს შორის გონივრული ბალანსის არსებობას, რაც, მათ შორის, გულისხმობს სამართლიან მიდგომას უმცირესობების წარმომადგენლებისადმი.<sup>13</sup> ეს თავისუფლება, როგორც მინიმუმ, მოითხოვს სხვადასხვა რწმენის მიმდევართა ჰარმონიული თანაცხოვრების შესაძლებლობის გარანტირებას.<sup>14</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფომ სხვადასხვა ჯგუფების ინტერესები უნდა შეუთავსოს ერთმანეთს,<sup>15</sup> რათა ნეიტრალურად და მიუკერძოებლად დაიცვას მორწმუნეთა შორის სოციალური მშვიდობა და ურთიერთდამოკიდებულება. სწორედ ნეიტრალიტეტსა და მიუკერძოებლობაზეა დამოკიდებული ქვეყნის დემოკრატიულობა და პლურალიზმი.<sup>16</sup> სახელმწიფოს როლი მდგომარეობს არა დამაბულობის მიზეზების აღმოფხვრაში პლურალიზმის გამორიცხვის გზით, არამედ იმის უზრუნველყოფაში, რომ დაპირისპირებულ პირებს შორის დამკვიდრდეს შემწყნარებლური განწყობა.<sup>17</sup>

ამდენად, წინამდებარე საქმეში სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტთან დაკავშირებული სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და შეაფასოს, ხომ არ ჰქონდა ადგილი მოპასუხის მიერ მოსარჩელის დისკრიმინაციულ მოპყრობას რელიგიური ნიშნით.

სახალხო დამცველი განმარტავს, რომ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ვალდებული არიან დაიცვან რელიგიური ნეიტრალიტეტი და არ შეზღუდონ რელიგიური ორგანიზაციების რელიგიის თავისუფლებით სარგებლობის უფლება, მათ შორის, აღნიშნული საკითხისადმი ქვეყანაში დომინანტი რელიგიური ჯგუფის პროტესტის მიუხედავად.

---

<sup>12</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება #1/1/493, II, 1;

<sup>13</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბერი N 1/1/477 გადაწყვეტილება II პ.43;

<sup>14</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის N 1/1/477 გადაწყვეტილება II პ.7;

<sup>15</sup> Kokkinakis v. Greece, app. no: 14307/88, 25/05/1993, § 33;

<sup>16</sup> Metropolitan Church of Bessarabia and Others v. Moldova, app. no: 45701/99, §§ 115-16;

<sup>17</sup> Serif v. Greece, app. no: 38178/97, 14/12/1999, § 53;

ვინაიდან ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა საქართველოს სახელმწიფოსთვის სავალდებულო ძალის მატარებელია, სასამართლომ წინამდებარე საქმე უნდა შეაფასოს ზემოაღნიშნული პრინციპებისა და პრაქტიკის გათვალისწინებით, რათა უზრუნველყოფილ იქნას დისკრიმინაციის გარეშე აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების რეალიზება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვხელმძღვანელობ რა „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლით, 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის, ასევე “დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ” საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით, მიზანშეწონილად მიმაჩნია, მოგმართოთ სასამართლო მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრებით. აქვე გაცნობებთ, რომ გამოვთქვამთ მზადყოფნას საქმის არსებით განხილვაზე ზეპირი განმარტების მისაცემად.

პატივისცემით,